



BLUE PORTS-ის საპილოტე ტრენინგისა და სერტიფიცირების პროგრამა პორტის მდგრადობის პერსონალი

განაცხადების წარდგენის მოწვევა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო როგორც BLUE PORTS-ის ეროვნული საკონტაქტო პირი საქართველოში, აცხადებს განაცხადების მიღებას BLUE PORTS-ის საპილოტე ტრენინგისა და სერტიფიცირების პროგრამაზე. პროგრამა განკუთვნილია პორტებისა და პორტის ოპერატორების პერსონალისთვის, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და სურთ კვალიფიკაციის ამაღლება და სერტიფიკატის მოპოვება, როგორც პორტის მდგრადობის სპეციალისტებმა

BLUE PORTS-ის სერტიფიცირების სქემა, რომელიც შემუშავებულია **ISO/IEC 17024** სტანდარტის შესაბამისად, მიზნად ისახავს პორტის პერსონალის კომპეტენციის გაძლიერებას, პროფესიული კვალიფიკაციისა და კარიერული მობილობის ამაღლებას, უსაფრთხოებისა და ოპერაციული მაჩვენებლების გაუმჯობესებას. პროგრამა ასევე ხელს უწყობს პორტის სექტორში ახალი, უფრო „მწვანე“ სამუშაო პროფილების შექმნას, რაც წვლილს შეიტანს პორტებთან დაკავშირებული ნახშირბადის ემისიების შემცირებაში და მხარს დაუჭერს სექტორის ფართომასშტაბიან „მწვანე ტრანზიციის“ პროცესს.

საპილოტე პროგრამა სრულად ონლაინ რეჟიმში ჩატარდება, რაც მოიცავს როგორც სინქრონულ ონლაინ ტრენინგებს, ისე ინდივიდუალური სწავლების დროს. პროგრამა დასრულდება ონლაინ გამოცდებით, რომლებიც ჩატარდება უსაფრთხო დისტანციური ზედამხედველობის სისტემის მეშვეობით. ტრენინგისა და გამოცდების წარმატებით დასრულების შემდეგ, მონაწილეებს მიენიჭებათ სერტიფიკატი შემდეგი სახელწოდებით – „**BLUE PORTS-ის პორტის მდგრადობის პერსონალი**“.

ტრენინგი და გამოცდები ხელმისაწვდომი იქნება **ბერძნულ, ქართულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე**.

სასწავლო კურსები დაიწყება 2026 წლის გაზაფხულზე, ხოლო სერტიფიცირების პროცესი დასრულდება 2026 წლის ზაფხულში.

საპილოტე პროგრამაში მონაწილეობა **უფასოა** და **ადგილების რაოდენობა შეზღუდულია**. განაცხადები დაექვემდებარება საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, პროგრამის მიზნებისა და BLUE PORTS-ის სქემის მოთხოვნების შესაბამისად.



Co-funded by
the European Union

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2026 წლის 05 მარტი



BLUE PORTS
Certifying staff for sustainable port leadership

ვისთვის არის პროექტი განკუთვნილი?

BLUE PORTS-ის სერტიფიცირების სქემა შემუშავებულია ნავსადგურის არსებული პესონალისთვის ჰორიზონტალური მიდგომით. იგი მოიცავს სხვადასხვა დონესა და პოზიციაზე მომუშავე პერსონალს, როგორც საპორტო ადმინისტრაციებში, ისე საპორტო მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებში.

სერტიფიცირების სქემა ხელმისაწვდომია ორი ქვე-სქემის სახით, რომელთაგან თითოეული პერსონალის სხვადასხვა კატეგორიაზეა გათვლილი:

- **პორტის მდგრადობის მრჩეველი/ოფიცერი:** აღნიშნული ქვე-სქემა განკუთვნილია მენეჯერული რგოლისთვის, რომელიც მოიცავს ხელმძღვანელებს, მენეჯერებს, ადმინისტრატორებსა და სხვა პროფესიონალებს. აღნიშნული სპეციალისტები შეიძენენ იმ აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციას, იმ გუნდებში მონაწილეობისთვის, რომლებიც აფასებენ, ნერგავენ, მართავენ და მონიტორინგს უწევენ “მწვანე ტრანზიციის” სტრატეგიებს, გეგმებსა და გზამკვლელებს, ასევე წარმართავენ მდგრად ინიციატივებს ევროპის მცირე და საშუალო ზომის პორტებში.
- **პორტის მდგრადობის ოპერატორი:** აღნიშნული ქვე-სქემა ორიენტირებულია ტექნიკურ და საოპერაციო პერსონალზე, მათ შორის ტექნიკოსებზე, ოპერატორებზე, მუშებსა და სხვა პროფესიონალებზე. ეს ჯგუფი გადამზადდება იმისათვის, რომ ტექნიკურად უზრუნველყონ პორტის „მწვანე ტრანზიციასთან“ დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების, პრაქტიკებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება, როგორცაა: გემების ელექტრომომარაგება ნაპირიდან (Cold Ironing), ელექტრომობილობა, ალტერნატიული საწვავი და ნარჩენების მართვა.



რატომ უნდა მიიღო მონაწილეობა?

BLUE PORTS-ის სერტიფიცირების სქემა არის პერსონალის სერტიფიცირების ახლად შემუშავებული, მოქმედი სისტემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია **პერსონალის სერტიფიცირების საერთაშორისო სტანდარტთან – ISO/IEC 17024**. მისი აკრედიტაციის შემდგომ, ევროპული აკრედიტაციის მრავალმხრივი შეთანხმების (EA MLA) საფუძველზე, აღნიშნული სქემა ურთიერთაღიარებული იქნება ეროვნული სამთავრობო და აკრედიტაციის ორგანოების მიერ როგორც ევროპაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

აღნიშნული სქემა შემუშავდა საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთისა და საქართველოს ეროვნულ ტექნიკურ კომიტეტებთან მჭიდრო კონსულტაციით, რამაც გააერთიანა ინდუსტრიის ძირითადი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის: დამსაქმებლები, დასაქმებულები, სერვისის ოპერატორები, სერტიფიცირებისა და ტრენინგის მომწოდებლები, კომპეტენტური ორგანოები და სოციალური პარტნიორები.

ნდობის, რწმენისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებით, სქემა უზრუნველყოფს შესაბამისობას საპორტო სექტორის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, არსებულ საკვალიფიკაციო დეფიციტსა და მზარდ საჭიროებებთან, რაც ხელს უწყობს სექტორის განვითარებას „მწვანე ტრანზიციის“ გზაზე.

BLUE PORTS-ის სერტიფიცირების სქემის ძირითადი უპირატესობები:

- ✓ პერსონალის სერტიფიცირება **ISO/IEC 17024** სტანდარტის შესაბამისად
- ✓ შემუშავებული და დამტკიცებული საპორტო საზოგადოების აქტიური ჩართულობით
- ✓ საპილოტე რეჟიმში გამოცდილი ოთხ ქვეყანაში
- ✓ შექმნილია ევროპის მასშტაბით ურთიერთაღიარებისთვის

ძირითადი სარგებელი მონაწილეებისთვის:

- ✓ კონკურენტული უპირატესობა საპორტო და საზღვაო შრომის ბაზარზე
- ✓ სპეციალიზებული, თანამედროვე ცოდნა პორტის მდგრადობისა და „მწვანე ტრანზიციის“ პრაქტიკის შესახებ
- ✓ პროფესიული კომპეტენციის ოფიციალური დასტური საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის მეშვეობით
- ✓ დასაქმების გაუმჯობესებული შესაძლებლობები და კარიერული განვითარების პერსპექტივები
- ✓ გაზრდილი პროფესიული მობილობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ

რა არის საკვალიფიკაციო წინაპირობები?

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ წინაპირობებს:

პორტის მდგრადობის მრჩეველი/ოფიცერი



Co-funded by the European Union



პორტის მდგრადობის მრჩეველი/ოფიცრის სქემის აპლიკანტები უნდა ფლობდნენ და წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის:

დიპლომი	სამუშაო გამოცდილება
უმაღლესი განათლების ხარისხი (მინიმუმ ბაკალავრი - EQF 6) საზღვაო მიმართულებით, ან შესაბამის ტექნოლოგიურ და საინჟინრო სფეროებში, ან მენეჯმენტის, ადმინისტრირებისა და ეკონომიკის განხრით, და	პორტის მართვის სფეროში მუშაობის 1 წელზე მეტი გამოცდილება.
ან	
უმაღლესი განათლების ხარისხი (მინიმუმ ბაკალავრი - EQF 6), და	პორტის მართვის სფეროში მუშაობის 3 წელზე მეტი გამოცდილება.

პორტის მდგრადობის ოპერატორი

პორტის მდგრადობის ოპერატორის სქემის აპლიკანტები უნდა ფლობდნენ და წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის:

დიპლომი	სამუშაო გამოცდილება
პროფესიული სასწავლებლის/ტექნიკური სკოლის ხარისხი (პროფესიული განათლება -EQF 4 ან 5) საზღვაო მიმართულებით, ან ტექნოლოგიურ და საინჟინრო სფეროებში, და	პორტის ტექნიკური ოპერაციების სფეროში მუშაობის 1 წელზე მეტი გამოცდილება.
ან	
სავალდებულო განათლების ხარისხი (საბაზო განათლება - EQF 2) და	პორტის ტექნიკური ოპერაციების სფეროში მუშაობის 3 წელზე მეტი გამოცდილება.

კანდიდატები უნდა ფლობდნენ კომპიუტერთან მუშაობის საბაზო უნარებს, რათა შეძლონ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა და გამოცდის ჩაბარება, რადგან ორივე პროცესი სრულად ვირტუალურ გარემოში მიმდინარეობს.

რას უნდა ელოდოთ?

- ონლაინ სასწავლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება სპეციალური ელექტრონული სწავლების (e-learning) პლატფორმის მეშვეობით.
- სრულად ციფრული სასწავლო მასალები.
- შერეული ონლაინ სწავლების ფორმატი, რომელიც აერთიანებს სინქრონულ სესიებს გამოცდილ ტრენერებთან და ინდივიდუალურ სამუშაო აქტივობებს.
- სწავლების ხანგრძლივობა და დატვირთვა:
 - პორტის მდგრადობის მრჩეველი/ოფიცერი: 85 სთ (45 სთ სინქრონული სწავლება and 40



Co-funded by the European Union



- სთ ინდივიდუალური სწავლება)
- პორტის მდგრადობის ოპერატორი: **94 სთ** (52 სთ სინქრონული სწავლება და 42 სთ ინდივიდუალური სწავლება)
- სწავლება გაგრძელდება დაახლოებით **10 კვირის** განმავლობაში, კვირაში საშუალოდ ორ-სამი ონლაინ სესიით.
- **ონლაინ გამოცდებში მონაწილეობა**, რომელიც ჩატარდება უსაფრთხო დისტანციური ზედამხედველობის სისტემით. ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, გაიცემა სერტიფიკატი — „**BLUE PORTS-ის პორტის მდგრადობის პერსონალი**“.

რა გამოცდილებას და უნარებს შეიძენთ?

BLUE PORTS-ის სერტიფიცირება ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებულ ჩარჩოს, რომელიც ასახავს პორტებში მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ძირითად ამოცანებსა და პასუხისმგებლობებს. სერტიფიცირება მოიცავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის სტრუქტურირებულ ერთობლიობას, რომელიც მორგებულია პორტის საქმიანობის „მწვანე ტრანზიციის“ ჩართული მენეჯერული და ოპერაციული პერსონალის ყოველდღიურ და სტრატეგიულ აქტივობებს.

პორტის მდგრადობის მრჩეველი/ოფიცერის პროფილი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- სტრატეგიული განვითარება
- იმპლემენტაცია და მართვა
- მონიტორინგი და შეფასება
- დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა
- გარემოსდაცვით რეგულაციებთან შესაბამისობა

პორტის მდგრადობის ოპერატორის პროფილი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- „მწვანე“ ტექნოლოგიების ტექნიკური გამოყენება
- საოპერაციო მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისთვის
- „მწვანე“ ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა
- ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი (HSE) სტანდარტები
- საოპერაციო ეფექტურობა და მდგრადობას

კომპეტენციები, რომლებიც ფასდება და დასტურდება BLUE PORTS-ის სერტიფიკატით, დაჯგუფებულია შემდეგ თემატურ მიმართულებებად, რომლებიც დეტალურად იქნება განხილული BLUE PORTS-ის ტრენინგის ფარგლებში:

- შესავალი პორტების მდგრად განვითარებაში
- ენერგოტრანსფორმაცია პორტების ნულოვან ემისიაზე გადასაყვანად



Co-funded by
the European Union



- ცირკულარული ეკონომიკა ნარჩენებისგან თავისუფალი პორტისთვის
- გარემოს დაცვა ნულოვანი ზემოქმედების მქონე პორტისთვის
- ციფრული ტრანსფორმაცია და ავტომატიზაცია პორტის მდგრადობისთვის
- ნავსადგურის მდგრადობისა და განვითარების ინტეგრირებული საკითხები
- საუკეთესო პრაქტიკები და შემთხვევის ანალიზები



Co-funded by
the European Union



განაცხადის წარდგენის მოთხოვნები

თუ დაინტერესებული ხართ **BLUE PORTS**-ის საპილოტე სასწავლო და სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობით და აკმაყოფილებთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი განაცხადი ამ მოწვევაზე თანდართული სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით.

გთხოვთ, შეავსოთ განაცხადის ფორმა და მისი ხელმოწერილი ასლი, შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად, გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

info@mta.gov.ge ; info@blue-ports.eu

ელ-ფოსტის სათაური: Application for BLUE PORTS pilot training and certification

განაცხადების გაგზავნა ასევე შესაძლებელია ფოსტით ან კურიერის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: **ბაქოს ქუჩა №50 ბათუმი, საქართველო.**

განაცხადების მიღების პროცესთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: **n.tsintsadze@mta.gov.ge**

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2026 წლის 05 მარტი.

პროექტ **BLUE PORTS**-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს: www.blue-ports.eu

სოციალური მედია



The BLUE PORTS TEAM



Project Coordinator

TECHNICAL UNIVERSITY OF CRETE
SCHOOL OF CHEMICAL AND
ENVIRONMENTAL ENGINEERING
RENEWABLE AND SUSTAINABLE ENERGY
SYSTEMS LABORATORY



Associated partners



Ministry of Maritime Affairs
&
Insular Policy



Institut Méditerranéen
de Formation
Aux Métiers Maritimes

პასუხისმგებლობის შეზღუდვა: BLUE PORTS-ის პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან მისი ავტორები და იგი არ გამოხატავს ევროკავშირის ან ევროპის კლიმატის, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის აღმასრულებელი სააგენტოს (CINEA) ოფიციალურ პოზიციას.



Co-funded by
the European Union



Co-funded by
the European Union